

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი



ხელნაწერის უფლებით

ქეთევან არძენაძე

ემოციური მარკერები ამერიკულ და ქართულ საარჩევნო
დისკურსში

სპეციალობა - ფილოლოგია

წარდგენილი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორეფერატი

ბათუმი 2025

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ირინე გომეხეთელიანი

პროფესორი.

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

უცხოელი შემფასებელი:

ჯოანა შერშუნოვიჩი

ასოცირებული პროფესორი.

ბილისტოკის უნივერსიტეტი

შემფასებლები:

მაია კიკვაძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი

ლალი თავაძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი

თამარ დოლიძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

საზღვაო აკადემია,

ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება , ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, პირველი კორპუსი, მეორე სართული, აუდიტორია 37.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკასა და ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი ფილოლოგიის დოქტორი, **პროფესორი მაია კიკვაძე**

შესავალი

პოლიტიკური დისკურსი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რადგან პოლიტიკური რეალობა და პოლიტიკოსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნულ, სოციალურ თუ კულტურულ აქტივობებში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი საზოგადოებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ამაზე კი მეტყველებს რიგი ენობრივი საშუალებების მიზნობრივი გამოყენება პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებში, დებატებსა და ინტერვიუებში.

პოლიტიკური დისკურსი არის ყველა სამეტყველო აქტის, ასევე საჯარო სამართლის, ტრადიციებისა და გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც განისაზღვრება და გამოიხატება სიტყვიერად და რომლის ადრესატიც პოლიტიკის სფეროს ეკუთვნის. შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსი არ არის მხოლოდ კომუნიკაცია; ის აერთიანებს მკაფიო მიზნების მქონე კონკრეტულ მონაწილეებს, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში არიან ჩართული. ამ პროცესების მიზანი და მონაწილეთა არჩევანი დამოკიდებულია დისკურსის კონკრეტულ ტიპზე. ამ შემთხვევაში, პოლიტიკური დისკურსის მიზანი არის ძალაუფლების მოპოვება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ საზოგადოებაც.

სანდო და ხარისხიანი ინფორმაცია საარჩევნო კამპანიისათვის მნიშვნელოვანია, რათა ის საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. კერძოდ, წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის მიზანია ამომრჩეველთა დარწმუნება და ხმათა უმრავლესობის მოპოვება. შესაბამისად, წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ფუნქციური კვლევა გვადლევს საშუალებას განვიხილოთ არა მხოლოდ თეორიული ბაზისი, არამედ თეორიულ ნაწილთან ერთად ვიკვლიოთ წინასაარჩევნო

დისკურსთან დაკავშირებული პროგნოზები და ვარაუდები მოსალოდნელი შედეგების შესახებ და მიმდინარე დისკურსის კვლევისას ყურადღება გავამახვილოთ, როგორც აქტუალურ თემებზე, ასევე მის ფუნქციებზეც.

ნაშრომის აქტუალობა. თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნებში გამარჯვება ძალაუფლების მოპოვების გარანტიაა, ხოლო წინასაარჩევნო გამოსვლებით ხალხის დარწმუნება და ხმების მიღება საარჩევნო პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია. საარჩევნო კამპანიები საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში კარგად იკვეთება კომუნიკაციის მთავარი მიზანი- მიიღოს ხმა ამომრჩევლისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური კამპანია ემსახურება ხალხის ინფორმირებასა და დარწმუნებას, რათა ხმა მისცეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური რეალობა, გარემო და პოლიტიკოსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნულ, სოციალურ თუ კულტურულ აქტივობებში, შესაბამისად პოლიტიკური დისკურსი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. დისკურსი განისაზღვრება, როგორც ენის აქტიური გამოყენება, ხოლო მისი ანალიზი წარმოადგენს წინადადების შემდგომი დონის, ლინგვისტურ და არა ლინგვისტურ ნიშნებს შორის კავშირის შესწავლას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დისკურსის ანალიზი უკავშირდება პრაგმატიკას, ხოლო ისეთი ენობრივი ერთეულების კვლევა, როგორიცაა დისკურსული და პრაგმატიკული მარკერები, განსაკუთრებით საინტერესო შედეგებს იძლევა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკა და პოლიტიკოსები საზოგადოებაზე გარკვეულწილად ზემოქმედებენ. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა ენობრივი საშუალებების მიზნობრივი გამოყენება პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებში. პოლიტიკური გამოსვლები ენის

აქტიურ გამოყენებასთან ასოცირდება. შესაბამისად, ენა წარმოადგენს რესურსსა და ინსტრუმენტს, რომლებსაც პოლიტიკოსი იყენებს ამომრჩეველთა ინფორმირების, მათი დარწმუნებისა და სოციალურ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

პოლიტიკურ დისკურსში მსმენელზე ზემოქმედების მოხდენის თვალსაზრისით, საინტერესო კუთხით იკვეთება დისკურსული და პრაგმატიკული მარკერები. დისკურსული მარკერები წარმოადგენს მრავალკატეგორიულ ენობრივ ერთეულს, რომელთა გამოყენება წინადადებისთვის არ არის სავალდებულო, თუმცა მათი გამოყენება ხელს უწყობს მიმდინარე დისკურსის კარგად ორგანიზებას, ხოლო რაც შეეხება პრაგმატიკულ მარკერებს, ისინი წარმოადგენს მცირე მნიშვნელობის მქონე „მოკლე“ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც არ გამოირჩევიან მკაფიო გრამატიკული ფუნქციით და არც მათი გამოყენებაა დისკურსისთვის სავალდებულო, თუმცა პრაგმატიკული თვალსაზრისით მათი არსებობა დისკურსის უკეთ წარმართვაში ეხმარება მოსაუბრეს.

დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკოსთა გამოსვლებში, რადგან მათი მთავარი მიზანია მიმდინარე დისკურსში სემანტიკური და პრაგმატული თანამიმდევრულობის შენარჩუნება, საუბრისას ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობის გამოხატვა და სამეტყველო მოქმედებების შესრულება. აქედან გამომდინარე, რომ პოლიტიკური კამპანია ემსახურება ხალხის ინფორმირებასა და დარწმუნებას. ენათმეცნიერებისთვის ყოველთვის საინტერესო და აქტუალურია თუ რა ენობრივი საშუალებებით ხორციელდება აღნიშნული და რა ენობრივ სტრატეგიებს იყენებენ პოლიტიკოსები.

ნაშრომის მიზანია საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის არსის განსაზღვრა, საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ძირითადი

მახასიათებლების განზოგადება, რიტორიკისა და საარჩევნო დისკურსის ურთიერთმიმართების განხილვა და საარჩევნო დისკურსის ზემოქმედების ფუნქციის განსაზღვრა; დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი ფუნქციებისა და ენობრივი თავისებურებების გამოყოფა, რომლებიც პოლიტიკოსს წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია ემოციური მარკერების (ტექსტუალური და ინტერპერსონალური დისკურსული მარკერები) თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა კორპუს ლინგვისტიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ნაშრომის ამოცანები:

- საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ზემოქმედებითი ფუნქციის განსაზღვრა;
- ძირითადი რიტორიკული საშუალებების გამოყოფა და განზოგადება;
- დისკურსული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში;
- პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში;
- დისკურსული მარკერები თუ პრაგმატიკული მარკერები, მსგავსება-განსხვავების დასადგენად;
- პოლიტიკური დისკურსის არსის განსაზღვრა კორპუსლინგვისტიკის ჭრილში;
- ქართულენოვანი პოლიტიკური დისკურსის ემპირიული მასალის ანალიზი;
- ინგლისურენოვანი პოლიტიკური დისკურსის ემპირიული მასალის ანალიზი:

ნაშრომის სიახლე: ნაშრომში ჩატარებულია ემოციური მარკერების კორპუსის რაოდენობრივი და თვისობრივი თავისებურებების ანალიზი,

რომელიც ხელს შეუწყობს საარჩევნო დისკურსის შემდგომ კვლევას. ასევე, შეპირისპირებულია ქართველი და ამერიკელი პოლიტიკოსების გამოსვლებში გამოყენებული პრაგმატიკული მარკერები, გამოვლენილია მათი თავისებურებები, მოცემულია მათი სტატისტიკური მონაცემები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: ნაშრომში კრიტიკულად არის გაანალიზებული პოლიტიკურ დისკურსზე არსებული უახლესი ინგლისური, ქართული და სხვა უცხოური ლინგვისტური ლიტერატურა, სტატიები, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულები და სადისერტაციო ნაშრომები, პოლიტიკური ტექსტები და პოლიტიკოსთა გამოსვლები, პოლიტიკური დისკურსისათვის დამახასიათებელი პრაგმატიკული და დისკურსული მარკერების კორპუსის რაოდენობრივი და შემდეგ თვისობრივი ანალიზი საშუალებას მისცემს ფილოლოგს დეტალურად გაეცნოს მათ თავისებურებებს.

ნაშრომის შედეგებისა და ემპირიული მასალის გამოყენება შესაძლებელი იქნება დისკურსის ანალიზის, ტექსტის ინტერპრეტაციისა და პრაგმატიკის სალექციო კურსების სწავლების დროს, რომელიც ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომი ეფუძნება პოლიტიკურ დისკურსზე არსებული ლიტერატურისა და ემპირიული მასალის მოძიების, შეგროვებისა და კრიტიკული ანალიზის მეთოდებს; ასევე, საარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსების გამოსვლების ტექსტების შესწავლასა და მათ ლინგვისტურ ანალიზს; ემოციური მარკერების კორპუსის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებს; ნაშრომში პოლიტიკურ ტექსტებში არსებული ემოციური მარკერები გაანალიზებულია კორპუსლინგვისტური კვლევის საშუალებით, რაც გულისხმობს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების რაოდენობრივ და თვისობრივ

კვლევას კორპუსის დახმარებით, რათა გამოიკვლიოს ენობრივი სტრუქტურები, რომლებსაც პოლიტიკოსები იყენებენ პოლიტიკურად რელევანტური აზრების საკომუნიკაციოდ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპეციფიკური ფუნქციებისა და კონკრეტული მიზნების შესასრულებლად.

ნაშრომში ლექსიკური და სემანტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულია 132 მაგალითი, ამათგან 69 მაგალითი ქართული ემპირიული მასალიდან, ხოლო 63 მაგალითი განვიხილეთ ინგლისურენოვანი ემპირიული მასალიდან.

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

- პოლიტიკური დისკურსის კრიტიკული ანალიზი;
- შეპირისპირებითი კვლევის მეთოდი;
- სემანტიკური ანალიზის მეთოდი;
- პრაგმატიკული ანალიზის მეთოდი;
- კორპუსის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის ლინგვისტური მეთოდი.

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს შემდეგი სამეცნიერო ლიტერატურა: Dijk Van (1985, 1998, 2008), Fraser (1991), Brinton (1996), Muller (2005), Brown Gillian, Yule George (1983), Dijk Van (1985, 1998, 2008), Adrian Beard (2000), William Benoit (2002,2017), William M. Feith, Christian O. Lundberg (2008) და სხვა.

საკვლევ მასალად გამოყენებულია ამერიკელ პრეზიდენტის, საპრეზიდენტო კანდიდატების და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკოსების გამოსვლები. ასევე, ქართველი პრემიერ მინისტრების, პრეზიდენტის და გავლენიანი პოლიტიკოსების გამოსვლები საარჩევნო პერიოდში. კერძოდ,

ქართველი პოლიტიკოსების გამოსვლები:

1. **კახა კალაძე**- ინტერვიუ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ
2. **ირაკლი ღარიბაშვილი**- სტუმრად გადაცემაში "არჩევნები 2021"

- საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ევროკავშირის უსაფრთხოების შესახებ, 2023 წ

- გამოსვლა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე, 2023 წ

3. **სალომე ზურაბიშვილი**- დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების შესახებ, 2021 წ

- 2024 წლის არჩევნების შესახებ

4. **გიორგი ამილახვარი** - ქვეყნის მტრების შესახებ, 2023 წ

- ქართველი ჯარისკაცების თავდადების შესახებ, 2023 წელი

5. **ირაკლი კობახიძე**- წინა ხელისუფლების შესახებ, 2023 წ

6. **ბიძინა ივანიშვილი**- “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო კამპანია, 2024 წ.

ამერიკელი პოლიტიკოსების გამოსვლები

1. **ჯო ბაიდენი**- გამოსვლა ისტორიული არჩევნების შემდეგ 2020 წელი
-დემოკრატიულ ეროვნულ კონვენციაზე გამოსვლა. 2020 წ.

- ატლანტა, ჯორჯია 2020 წლის 27 ოქტომბერი

- ბაიდენი აკრიტიკებს პალატის საბიუჯეტო წინადადებებს, 2023 წ.

- პრეზიდენტის ჯო ბაიდენის შენიშვნები - სახელმწიფოს მიმართვა, 2023 წ.

2. **დონალდ ტრამპი**- ტრამპის მიმართვა რესპუბლიკელთა კონვენციაზე, 2020 წ.

-ტრამპის მიმართვა რესპუბლიკელთა კონვენციაზე, 2024 წ.

- საარჩევნო სეზონის პირველი დებატები CNN-ზე (დონალდ ტრამპი და ჯო ბაიდენი) 2024 წ.

3. **ჯეფრი როზენი**- კონსტიტუციის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტის და აღმასრულებელმა დირექტორის გამოსვლა კონსტიტუციის მნიშვნელობაზე, გავლენაზე და კონსტიტუციურ საკითხებზე სასაუბროდ, 2023 წელი;

4. **რობერტ კენედი უმცროსი-2024** წლის გამოსვლა საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით;

5. **მაიკ პენსი-** რესპუბლიკური საპრეზიდენტო კანდიდატები საუბრობენ აიოვას რწმენისა და თავისუფლების კოალიციის ღონისძიებაზე 2023 წ.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა და ქვეთავების, ზოგადი დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან და ტექსტების დანართისგან.

შესავალში განხილულია თემის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები, კვლევის სიახლე, მეთოდოლოგია, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველ თავში **„საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის თეორიული საფუძვლები“** განხილულია საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მახასიათებლები, რიტორიკა და საარჩევნო დისკურსი, საარჩევნო დისკურსის ზემოქმედების ფუნქცია.

მეორე თავში **„დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში“** ჩატარებულია დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების ანალიზი თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში. ასევე დავადგინეთ მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

მესამე თავში **„ემოციური მარკერების კორპუსის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა“** განხილულია პოლიტიკური დისკურსი და მისი ძირითადი მახასიათებლები კორპუსლინგვისტიკის ჭრილში, გარდა ამისა, წარმოდგენილია ის ძირითადი უპირატესობები, რომლებიც ზრდის კორპუსული კვლევების (რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზები) მნიშვნელობას პოლიტიკური დისკურსის შესწავლის პროცესში. თეორიულ მასალაზე დაყრდნობით წარმოდგენილია ორივე ენის ემპირიული მასალის დისკურსული, ლექსიკური, სემანტიკური, პრაგმატიკული რაოდენობრივი

და თვისობრივი ანალიზი. შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე მიღებულია შედეგები, რაც აისახა სტატისტიკურ მონაცემებში.

ზოგად დასკვნებში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა შედგება 76 სამეცნიერო ლიტერატურის და 40 ემპირიული მასალის დასახელებისგან.

დანართში მოცემულია ქართული და ინგლისური ტექსტების სრული ვერსიები.

თავი 1. საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის თეორიული საფუძვლები

1.1. საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მახასიათებლები.

პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს პოლიტიკური ჯგუფების მიერ გატარებულ იდეოლოგიას, ამავე სოციალურ ჯგუფში მიღებული ღირებულებებისა და მოსაზრებების კომუნიკაციას და საზოგადოებაში მათ გავრცელებას. პოლიტიკოსების მთავარ მიზანს წარმოადგენს, არსებული ღირებულებების გადაცემის პარალელურად, საზოგადოების დარწმუნება მათ სისწორეში და ამის საშუალებით საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა.

აღნიშნული ძირითადი მახასიათებლები მრავლად მოიპოვება წინასაარჩევნო დისკურსში, რომელიც პოლიტიკური დისკურსის ქვეჯგუფს წარმოადგენს და ნებისმიერი სხვა დისკურსის მსგავსად **ინსტიტუციონალური** დისკურსის ტიპია. მას აქვს უნივერსალური და სპეციფიკური მახასიათებლები. წინასაარჩევნო დისკურსი აგებულია გარკვეული ნიმუშებით, ამიტომ მას ახასიათებს სტერეოტიპების ხშირი გამოყენება.

გამოიყოფა წინა საარჩევნო დისკურსის შემდეგი ძირითადი თავისებურებები: ინსტიტუციონალური პოლიტიკა, პოლემიკურობა, კოლექტიური ავტორის არსებობა და მანიპულირება.

ინსტიტუციონალური პოლიტიკა- არის სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არსებული ინსტიტუტების შეცვლის ან ახლის ჩამოსაყალიბებლად, უმეტესად, ეკონომიკისა და სამართლის სფეროებში;

პოლემიკურობა- ის გამოხატავს პოლიტიკოსის სურვილს, დაადასტუროს საკუთარი აზრი. ამის საწინააღმდეგოდ კი მომხსენებელი ოპონენტების მოსაზრებებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ხშირად არ ეთანხმება და უარყოფს მათ.

კოლექტიური ნააზრევი- წინასაარჩევნო დისკურსის ავტორი არ ჰყავს, რადგან ის მოიცავს, პირველ რიგში, მთელ საარჩევნო პროცესს და მის დროს წარმოქმნილ ტექსტებს. შედეგად წინა საარჩევნო ტექსტი რამდენიმე მონაწილის ნააზრევთა

შეჯამების შედეგია, აქედან გამომდინარე "დისკურსი მრავალი ავტორის პროდუქტია"

მანიპულირება- ნებისმიერი წინასაარჩევნო ტექსტი ხასიათდება მანიპულირებით, იქედან გამომდინარე , რომ მომხსენებელი ფარულად ახდენს გავლენას პოტენციურ ამომრჩევლებზე.

თამარ ლომაძე ნაშრომში „**თანამედროვე პოლიტიკური ზეპირი ტექსტების ენობრივი თავისებურებებში**“ საუბრობს საარჩევნო დისკურსის, როგორც წარმატებული საარჩევნო კამპანიის მთავარ წინაპირობაზე. არჩევნებს ის „**ლინგვისტურ ომს**“ უწოდებს და გამარჯვების აუცილებელ პირობად კარგად მომზადებულ წინასაარჩევნო დისკურს ასახელებს. პოლიტიკოსები ძალისხმევას არ იშურებენ „**ლინგვისტური ომის**“ მოსაგებად, მათ შორის აღსანიშნავია ვერბალური საშუალებები, რაც მათ წარმატებული კომუნიკაციის შემთხვევაში საზოგადოების აზროვნების მართვის საშუალებასაც აძლევს. შესაბამისად, თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნებში გამარჯვება ძალაუფლების მოპოვების გარანტიაა, ხოლო წინასაარჩევნო გამოსვლებით ხალხის დარწმუნება და ხმების მიღება საარჩევნო პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საარჩევნო კამპანიები საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში კარგად იკვეთება კომუნიკაციის მთავარი მიზანი- მიიღოს ხმა ამომრჩევლისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური კამპანია ემსახურება ხალხის ინფორმირებასა და დარწმუნებას მისცეს ხმა კონკრეტულ პოლიტიკოსს.

წინასაარჩევნო კამპანია მუშაობს იმისთვის, რომ დაარწმუნოს მოქალაქეები, მისცეს ხმა კანდიდატს. გარდა დარწმუნებისა, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მისაღებია ლეგიტიმური კრიტიკის გამოყენება. ბენუა (2017) თვლის, რომ საზოგადოებასთან წარმატებული

კომუნიკაციისთვის კანდიდატმა შეიძლება ტყუილი და არასწორი ინფორმაციაც შეიძლება გამოიყენოს. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კამპანია დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია.

1.2.რიტორიკა და წინასაარჩევნო დისკურსი. ენა პოლიტიკოსთა ნების გამოხატულებისა და საზოგადოებისათვის მათი გადაცემის პროცესში მთავარ როლს ასრულებს. შესაბამისად, პოლიტიკოსთა ნებისმიერი ქმედება, გამოსვლა თუ შეფასება ენის მიზანმიმართულ გამოყენებასთან ასოცირდება. რაც შეეხება, პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინურობას, საინტერესოა მისი ისეთ დისციპლინებთან კავშირი, რომლებიც კარგად გადმოსცემენ პოლიტიკოსების საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზანს და შედეგებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოლიტიკური დისკურსისა და რიტორიკის ურთიერთმიმართება.

პოლიტიკური დისკურსის, კერძოდ კი საარჩევნო დისკურსის ზემოქმედების კვლევისას, რიტორიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იქედან გამომდინარე, რომ საარჩევნო პოლიტიკური დისკურსი წარმოგვიდგენს მიმდინარე სოციალურ მოვლენას ვერბალურად, წერილობითი თუ ზეპირი მეტყველების გამოყენებით, ხოლო რიტორიკა არის, ა) ენის ეფექტურად გამოყენებისა და დარწმუნების ხელოვნება; ბ) ენის ეფექტურად და დამაჯერებლად გამოყენების უნარი.¹

რიტორიკული კომუნიკაციისთვის აუდიტორია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ როგორ? ამის საჩვენებლად განვიხილოთ კომუნიკაციის ოთხ-ელემენტური პროცესი: **შეტყობინება**- რომელსაც გზავნის ადრესატი; **ადრესატი**- რომელიც ახდენს აზრის კომუნიკაციას; **ადრესანტი**- იღებს შეტყობინებას; **მედია**- ინფორმაციის გადაცემისა და კომუნიკაციის

¹ <https://ahdictionary.com>

საშუალება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კომუნიკაციის საშუალება ადრესატსა და ადრესანტს შორის.

ბრაუნი და იული წიგნში „**დისკურსის ანალიზი**“ (Brown,Yule,1983) სამეტყველო აქტში მონაწილე ელემენტებს უფრო ფართოდ განიხილავენ. კერძოდ, ისინი გამოყოფენ: **ადრესატი** - გზავნის შეტყობინებას; **ადრესანტი** - იღებს შეტყობინებას; **აუდიტორია** - მსმენელი, რომელიც დისკურსის მიმდინარეობის თანამონაწილეა; **თემა** - რასაც ეხება დისკურსი; **გარემოცვა** - სად და როდის მიმდინარეობს კომუნიკაცია; **მედია** - ინფორმაციის გადაცემა-კომუნიკაციის საშუალება (ზეპირი, წერილობითი); **კოდი** - რა ენაზე ან დიალექტზე მიმდინარეობს კომუნიკაცია; **შეტყობინების ფორმა**- რა ფორმით ხორციელდება შეტყობინების გაგზავნა (დებატი, წერილი, ...); **მოვლენა**- მიმდინარე დისკურსი წარმოადგენს გარკვეული მოვლენის ნაწილს, მაგ. წინასაარჩევნო გამოსვლა - საარჩევნო დისკურსის ნაწილი; **საკვანძო პოზიცია** - მოიცავს მიმდინარე დისკურსის შეფასებას; **მიზანი**- რა მიზანს ემსახურება მიმდინარე აზრის კომუნიკაცია.

როგორც ვხედავთ, კომუნიკაციის პროცესში ყოველი ელემენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მოცემულ მოდელებს თუ შევადარებთ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტისათვის აუცილებელ ელემენტებზე, ესენია **ადრესატი, ადრესანტი, შეტყობინება და შეტყობინების გაგზავნის საშუალება.**

დამაჯერებელი გამოსვლისთვის პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ სხვადასხვა რიტორიკულ სტრატეგიას. მეტაფორა, ანალოგი, ნაცვალსახელები, გამეორება, კონტრასტული წყვილები, დაწყება/დაბოლოება ყველაზე ხშირად გამოყენებული რიტორიკული საშუალებებია, რომლებსაც ხშირად ვხვდებით პოლიტიკოსთა გამოსვლებში.

რიტორიკა აერთიანებს დისკურსსა და დარწმუნების საშუალებებს იქედან გამომდინარე, რომ ნებისმიერი პოლიტიკური გამოსვლა, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გაკეთებული განცხადება, ემსახურება საზოგადოების დარწმუნებას მიმდინარე დისკურსის სისწორეში და მიზანმიმართულია არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოსაპოვებლად.

1.3. საარჩევნო დისკურსის ზემოქმედებითი ფუნქცია. ვან დაიკის (Van Dijk, 2007) თანახმად, პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს, პოლიტიკური სფეროთი შემოფარგლულ ჟანრს, რომელიც ხასიათდება სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსით და განსაზღვრული ფუნქციით და დანიშნულებით, მას ზემოქმედებითი ფუნქცია გააჩნია. აღნიშნული ფუნქცია ძლიერდება საარჩევნო დისკურსის შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რომ ხალხის დარწმუნება კონკრეტული კანდიდატის ან პარტიის მხარდასაჭერად ნებისმიერი პოლიტიკური კამპანიისათვის აუცილებელი ამოცანაა.

წინასაარჩევნო დისკურსის მთავარი თავისებურება ისაა, რომ ის ძირითადად იმ ტექსტურ ტიპებს შეიცავს, რომლებსაც აქვთ მანიპულაციური განზრახვა. როგორც პოლიტიკური ტექსტის ტიპებს შორის, ასევე მანიპულაციურ სახეობაში შეიძლება ვიხილოთ პოლიტიკური ინტერვიუები, ლოზუნგები, განცხადებები, სტატიები სპეციალური პარტიული პლაკატები და გარკვეული შეტყობინებები ელექტრონულ მედიაში. მიუხედავად ამისა, მანიპულაციური შეტყობინების ყველაზე გამორჩეული სახეობა, რომელიც წინასაარჩევნოდ ფუნქციონირებს არის წინასაარჩევნო პროპაგანდისტული გამოსვლების ტექსტი. მათი მთავარი კომუნიკაციური განზრახვა ამომრჩევლისთვის პირობის მიცემაა. ამას გარდა, იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო თავისებურება: წინასაარჩევნო გამოსვლის მიმღები სრულად ან ნაწილობრივ აცნობიერებს შეტყობინების

მანიპულაციურ ხასიათს. ყველა გამოსვლაში გვხვდება სპეციალური ეტიკეტის ფრაზები, მაგალითად, მისალმებები.

ვან დაიკის(2006) თეორიის მიხედვით, მანიპულირება არის **სოციალური, კოგნიტური** (იგი მოიცავს მანიპულირებულთა გონებრივ კონტროლს) და **დისკურსული ფენომენი** (იგი მოიცავს ტექსტს, ლაპარაკს და ვიზუალურ სურათებს). შესაბამისად, მანიპულირება გულისხმობს არა მხოლოდ ტექსტის და ცალკეული წინადადების მნიშვნელობათა კვლევას, არამედ იმასაც, თუ როგორ გამოიყენება ძალაუფლება საჯარო დისკურსში.

ბერდის (Beard 2000) თანახმად, პოლიტიკური დარწმუნების ყველაზე ხშირი გამოვლინება არის საკუთარი იდეების ეფექტურობისა და მოწინააღმდეგე პარტიების შეხედულებების კრიტიკული ურთიერთდაპირისპირება. ეს მოსაზრება ეხმიანება ვან დაიკისეულ შეხედულებას, რომელიც პარტიებს შორის არსებულ დაპირისპირებას ორმაგი ოპოზიციის მაგალითით ხსნის. კერძოდ, პარტიების საპირისპირო პოზიციებში ყოფნა წარმოდგენილია შემდეგი პოლიტიკური სტრატეგიებით- საკუთარი პარტიის დადებითი კუთხით, ხოლო ოპოზიციური პარტიის უარყოფითი კუთხით წარმოჩენით.

პოლიტიკური დისკურსის ყველაზე გავრცელებულ სემანტიკურ-პრაგმატულ კატეგორიებია: **ავტორის სახე** (ავტორის აბსტრაქცია, ავტორის პერსონიფიკაცია, განცხადების სტილი, პარატექსტუალური კომპონენტები(მაგ.სურათი), კომუნიკაციური ლიდერობა, კომუნიკაციური თანასწორობა); **ადრესატის უნარი ან ფაქტორი**; **ინფორმაციულობა**; **მიზანმიმართულება**; **შეფასება**; **პირობითობა** (კლიშე, ტერმინოლოგიურობა, რიტუალობა (ანუ ქცევის სტერეოტიპიზაცია)); **ემოციურობა-ექსპრესიულობა**; **მოდალობა**; **ინტერტექსტუალობა**; **სოციო-კულტურული კონტექსტი**.

წინასაარჩევნო გამოსვლებში პოლიტიკოსი ცდილობს მიიზიდოს ამომრჩეველი, რასაც ახერხებს უსაფრთხო და უპრობლემო მომავალი

ცხოვრების მენტალური მოდელების მიწოდებითა და დარწმუნების საშუალებით, ზოგადი შინაარსის მქონე დაპირებებით, როგორცაა მაგალითად, მთავრობა კარგად იზრუნებს თავის მოქალაქეებზე.

**თავი 2. დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი
მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ
ლიტერატურაში**

2.1. დისკურსული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში. ფრეიზერი დისკურსულ მარკერებს ლექსიკურ ერთეულებად თვლის, რომლებიც მთავარი წინადადების სინტაქსურად დამოუკიდებელ ნაწილებს წარმოადგენენ. მათი ძირითადი დანიშნულება არსებულ დისკურსსა და მოცემულ გამონათქვამს შორის კავშირის აღნიშვნაა.

დისკურსულ მარკერთა კლასიფიკაციას გვთავაზობს კენ ჰაილენდი და პოლი ცი, (Hyland, Tse, 2004) რომლებიც უფრო დეტალურად განიხილავენ ინტერპერსონალურ და ტექსტუალურ დისკურსულ მარკერებს. ისინი აღნიშნავენ, რომ დისკურსული მარკერის კატეგორიები არსებითად ინტერპერსონალურობით ხასიათდებიან და მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი მსმენელის დარწმუნებაა.

დისკურსული მარკერები მრავალფუნქციურობითაც ხასიათდებიან. მიულერმა(Muller, 2005) განსაზღვრა დისკურსული მარკერების ფუნქციები და გამოყენების თავისებურებები.

ცხრილი 1. დისკურს მარკერების ფუნქციები და გამოყენება

1.	დისკურსის წამოწყება
2.	დისკურსში თემების გამოჯვნა, თემის ცვლილების აღნიშვნა
3.	პასუხის ან რეაქციისთვის შესავლის გაკეთება
4.	მოსაუბრეს ეხმარება დისკურსის შენარჩუნებაში
5.	დისკურსის დაყოფა კატაფორული ან ანაფორული ნიშნების მიხედვით
6.	წინა ან ფონური ინფორმაციის მონიშვნა
7.	მოსაუბრესა და მსმენელს შორის მიმდინარე დისკურსის შედეგის აღნიშვნა

დისკურსული მარკერები საშუალებას აძლევს მოსაუბრეს ტექსტი უფრო გარკვევით, ლოგიკურად და გრამატიკულად სწორად ააგოს. მათ არ აქვთ მკაფიოდ გამოხატული გრამატიკული მნიშვნელობა, თუმცა განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ ნებისმიერ დისკურსში.

იუკერმა და ზივიმ (1998) შემოგვთავაზეს დისკურსული მარკერების რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი ენობრივი დონეების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი 2. დისკურსული მარკერების ძირითადი მახასიათებლები

ფონოლოგიური და ლექსიკური მახასიათებლები	• მოკლე და ფონოლოგიურად შემცირებულია. • ქმნიან ცალკე ბგერათა ჯგუფს. • ისინი შეზღუდული ფორმებია და შესაბამისად, რთულია მათი ტრადიციული სიტყვის ფარგლებში მოთავსება.
სინტაქსური მახასიათებლები	• წინადადებისთვის საწყის პოზიციას წარმოადგენენ; • ისინი გვხვდება სინტაქსური სტრუქტურის გარეთ ან წინადადებისთვის თავისუფალ ელემენტს წარმოადგენენ; • მათი გამოყენება ნებაყოფლობითია:
სემანტიკური მახასიათებლები	• ისინი მცირე მნიშვნელობის მქონე ან უმნიშვნელო ელემენტებს წარმოადგენენ;
ფუნქციური მახასიათებლები	• ისინი მრავალფუნქციური ელემენტებია, მოქმედებენ რამდენიმე ლინგვისტურ დონეზე ერთდროულად;
სოციოლინგვისტური და სტილისტური მახასიათებლები	• ისინი ზეპირი და არა წერილობითი დისკურსისთვის არიან მახასიათებელი • დისკურსში ვხვდებით მაღალი სიხშირით. • ისინი გენდერულად სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდებიან და ქალის მეტყველებისთვის არის მათი ხშირი გამოყენება დამახასიათებელი.

დისკურსული მარკერები იყოფა სამ მთავარ ჯგუფად: 1) მარკერები, რომლებიც აღნიშნავენ თემის ცვლილებას, 2) მარკერები, რომლებიც აღნიშნავენ მიმდინარე დისკურს აქტივობას და 3) მარკერები, რომლებიც

აღნიშნავენ მიმდინარე აზრსა და დისკურსში უკვე დაფიქსირებულ აზრს შორის კავშირს.

დისკურსული მარკერები ის ერთეულებია, რომლებიც მოსაუბრეს საშუალებას აძლევენ გადასცენ ინფორმაცია მსმენელს გარკვევით, და შესაბამისად წარმატებით წარმართონ კომუნიკაციური პროცესი.

2.2. პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში. მეცნიერთა ნაწილი პრაგმატიკულ მარკერებს განიხილავს როგორც ზეპირი მეტყველების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს. ამას მოწმობს მკვლევრების იუკერისა და ზივის ნაშრომი „Discourse Markers” (1998), სადაც ავტორები პრაგმატიკულ მარკერებს განსაზღვრავენ, როგორც მცირე ლინგვისტური ელემენტებს, რომლებსაც ძირითადად ზეპირ მეტყველებაში ვხვდებით და მათი ფუნქცია არის კომუნიკაციის პრაგმატიკული ასპექტების გამოხატვა, მაგალითად ინტერტექსტუალური ან ინტერპერსონალური კავშირების აღნიშვნა. პრაგმატიკული მარკერები მოსაუბრის კომუნიკაციური საჭიროებების შესაბამისია.

ფრეიზერი პრაგმატიკული მარკერების ოთხ მთავარ ჯგუფად გამოყოფს, ესენია: ძირითადი პრაგმატიკული მარკერები, კომენტარის პრაგმატიკული მარკერები, პარალელური პრაგმატიკული მარკერები და დისკურსის პრაგმატიკული მარკერები. პრაგმატიკული მარკერების ოთხ მთავარ ჯგუფს კი ყოფს სხვადასხვა ქვეჯგუფად.

ცხრილი 3. პრაგმატიკული მარკერების კლასიფიკაცია

ძირითადი პრაგმატიკული მარკერები	სტრუქტურული	თხრობითი
		კითხვითი
		ბრძანებითი
	ლექსიკური	პერფორმატიული გამონათქვამები
		პრაგმატიკული იდიომები

	ჰიბრიდული	თხრობითზე დაფუძნებული
		კითხვითზე დაფუძნებული
		ბრძანებითზე დაფუძნებული
კომენტარის პრაგმატიკული მარკერები	შეფასების მარკერები	
	საუბრის მანერის მარკერები	
	სიცხადის მარკერები	
	გაგონილის გადმოცემის მარკერები	
	სათქმელის შერბილების მარკერები	
	ემფატიკური მარკერები	
პარალელური პრაგმატიკული მარკერები	ვოკატივები	
	უკმაყოფილების გამომხატველი მარკერები	
	სოლიდარობის მარკერები	
	ფოკუსირების მარკერები	
დისკურსის პრაგმატიკული მარკერები	თემის შეცვლის მარკერები	
	კონტრასტული მარკერები	
	აზრის განვითარების მარკერები	
	დასკვნითი მარკერები	

ფურკო (2017) პრაგმატიკულ მარკერებს განიხილავს, როგორც ენობრივი ერთეულების კლასს, რომელიც ცვლის წინადადების მნიშვნელობას, მაგრამ აუცილებელია დისკურსის ორგანიზებისა და სტრუქტურისთვის, წინადადებისადმი მომხსენებლის დამოკიდებულების აღსანიშნავად.

პრაგმატიკული მარკერებს შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

1. პრაგმატიკული მარკერები არ ცვლიან არსებულ რეალობას, სადაც მიმდინარეობს დისკურსი;
2. პრაგმატიკული მარკერები არ ცვლიან მოცემულ დისკურსს, არ ამატებენ ან არ აკლებენ ინფორმაციას;
3. პრაგმატიკული მარკერების გამოყენება განისაზღვრება მოცემული ინფორმაციით და არა არსებული სიტუაციით;

4. პრაგმატიკული მარკერების ფუნქცია არის უფრო ექსპრესიულობა-ემოციურობის გამოხატვა, ვიდრე დენოტატური, კოგნიტიური და მიმართების ფუნქცია.

2.3. დისკურსულ და პრაგმატიკულ მარკერებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება აღნიშნული ორი ტერმინი-დისკურსული მარკერი და პრაგმატიკული მარკერი, ზოგჯერ განსხვავებული ფუნქციებით, ზოგჯერ კი ერთი წარმოდგენილია როგორც მეორეს ქვეჯგუფი. ჰანსენი (2006) აცხადებს, რომ დისკურსული მარკერი არის პრაგმატიკული მარკერის ჰიპონიმი. აღნიშნულ შემთხვევაში, მათ შორის არსებული ფუნქციური საზღვრები ძალიან ბუნდოვანია. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან ვთვლით, რომ ეს ენობრივი ერთეულები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, დისკურსული მარკერი ტექსტის / დისკურსის ორგანიზებაზე, დისკურსის მართვასა და დისკურსის ინტერპრეტაციაზეა ორიენტირებული, ხოლო პრაგმატიკული მარკერები სუბიექტური ერთეულებია, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებზე, ინდივიდუალურ დამოკიდებულებასა და ურთიერთმოლაპარაკებებზეა ორიენტირებული.

დისკურსული მარკერები ლექსიკური ერთეულებია, რომელთა გამოყენებით ყოველი გამოთქმული აზრი მიმდინარე დისკურსს ლოგიკურად უკავშირდება, ხოლო პრაგმატიკული მარკერები შინაარსის თვალსაზრისით არ ცვლიან დისკურსს, არამედ პრაგმატიკული მარკერების მთავარი ფუნქცია ექსპრესიულ-ემოციური გამოხატულებაა. შესაბამისად, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი პრაგმატიკულ და დისკურსულ მარკერებს შორის არის ის, რომ ეს უკანასკნელები წინადადებებს შორის ლოგიკურ, აზრობრივ კავშირს ამყარებენ, ხოლო პრაგმატიკული მარკერები

ექსპრესიულობის გამოხატულებიდან გამომდინარე გამოხატავენ სუბიექტის დამოკიდებულებას მოცემული საკითხის, მოვლენის მიმართ.

განსხვავება დისკურსულ მარკერებსა და პრაგმატიკულ მარკერებს შორის არსებითად ფუნქციონალურია, აღნიშნულს გეზი (Ghezzi, 2014) უწოდებს "მაკროფუნქციებს."

ცხრილი 4. მაკროფუნქციები. დისკურს მარკერები და პრაგმატიკული მარკერები

მაკროფუნქცია	დახასიათება	მარკერები
ტექსტუალური კოჰეზია (ბმულობა) და კოჰერენტულობა	დისკურსის სტრუქტურა და სამეტყველო აქტი: მარკერები აღნიშნავენ ტექსტის წინადადებებსა და გამოთქმულ შინაარსს შორის არსებულ კავშირს.	დისკურს მარკერები
სოციალური კოჰეზია (ბმულობა-ჩართულობა)	სოციალური ასპექტი: მარკერები აღნიშნავენ მოსაუბრეებს შორის არსებულ კავშირს.	პრაგმატიკული მარკერები
პირადი პოზიცია	ადრესატი: მარკერები ადრესატის დამოკიდებულებას აღნიშნავენ მიმდინარე დისკურსის, ადრესანტისა და კომუნიკაციის შინაარსობრივი მხარის მიმართ.	პრაგმატიკული მარკერები

როგორც ვხედავთ, დისკურსული მარკერები ტექსტუალური ნიშნებით ხასიათდებიან და აღნიშნავენ ტექსტის წინადადებებსა და გამოთქმულ შინაარსს შორის არსებულ კავშირს, ხოლო პრაგმატიკული მარკერები სოციალური და პირადი დამოკიდებულების ჩვენებით აღნიშნავენ ადრესატის დამოკიდებულებას მიმდინარე დისკურსის, ადრესანტისა და კომუნიკაციის შინაარსობრივი მხარის მიმართ.

**თავი 3. ემოციური მარკერები ამერიკულ და ქართულ საარჩევნო
დისკურსში დისკურსულ და პრაგმატიკულ მარკერთა
კორპუსლინგვისტურ ანალიზზე დაყრდნობით**

3.1. პოლიტიკური დისკურსი კორპუსლინგვისტიკის კრილში.

პოლიტიკური ენის კორპუსლინგვისტური კვლევა გულისხმობს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების კვლევას კორპუსის დახმარებით, რათა გამოიკვლიოს ენობრივი სტრუქტურები, რომლებსაც პოლიტიკოსები იყენებენ პოლიტიკურად რელევანტური აზრების საკომუნიკაციოდ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპეციფიკური ფუნქციებისა და კონკრეტული მიზნების შესასრულებლად.

კორპუსზე დაფუძნებული ანალიზი გამოირჩევა შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:

- 1) ის ემპირიულია, აანალიზებს ტექსტებში გამოყენებულ ენობრივ ერთეულებს.
- 2) ის იყენებს რეალურ სიტუაციაში არსებული ტექსტების დიდ და პრინციპულ კოლექციას, როგორც ანალიზის ძირითად ემპირიულ მასალას.
- 3) ის ფართოდ იყენებს კომპიუტერს ანალიზისთვის, როგორც მის ავტომატურ, ასევე ინტერაქტიურ ტექნიკებს.
- 4) ის ეყრდნობა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ანალიტიკურ ტექნიკას, განსაკუთრებით ენის გამოყენების ფუნქციურ ინტერპრეტაციებს.

კორპუს-ლინგვისტური მიდგომით დისკურსის კვლევისას რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება კვლევის შედეგს უფრო სარწმუნოს ხდის. მკვლევარები ხშირად იწყებენ რაოდენობრივი ანალიზით (სიხშირის დადგენით), შემდეგ აგრძელებენ

თვისობრივი კვლევის მეთოდით, ასევე სწავლობენ დისკურსის დონის ფენომენებს ან რიტორიკულ ფუნქციებს.

კორპუსლინგვისტური მიდგომა არსებითად ინდუქციურობით ხასიათდება. ჩვენ კვლევა დავიწყეთ დისკურსულ და პრაგმატიკულ მარკერთა ძებნითა და მათი სიხშირის ამსახველი სიების შედგენით. მოცემულ პროცესში ყურადღება გავამახვილეთ ენობრივ ერთეულთა ძირითად მახასიათებლებზე. პოლიტიკური დისკურსის კვლევა ინდუქციური მიდგომის გამოყენებით მოიცავს შვიდ ეტაპს, თავდაპირველად კორპუსის ყველა ტექსტის სემანტიკურებას დისკურსულ ერთეულებად (ენობრივ მახასიათებლებზე დაყრდნობით). შემდეგ მოცემული დისკურსული ერთეულები გავანალიზეთ და დავაჯგუფეთ დისკურსული ერთეულები და პრაგმატული მარკერები კლასტერებად, რომლებიც ენობრივად მსგავსი ნიშნებით ხასიათდებიან. ამ ერთეულების დაჯგუფების შემდეგ მოვახდინეთ ტექსტში მათი ინტერპრეტაცია და ფუნქციის განსაზღვრა.

როგორც კვლევამ დაგვანახა, კორპუსის რესურსების დისკურსის ანალიზთან ინტეგრირების ყველაზე დიდი უპირატესობა არის ის, რომ კორპუს ანალიზი გვთავაზობს ნებისმიერი კონკრეტული ტიპის დისკურსის დიდი რაოდენობით ტექსტების ანალიზის საშუალებას. ამან საშუალება მოგვცა შეგვესწავლა საარჩევნო დისკურსის სტრუქტურები, მისი ორგანიზების ტიპური გზები და გზავნილები. გარდა ამისა, მან ხელი შეგვიწყო გვეჩვენებინა დისკურსულ და პრაგმატიკულ მარკერებს შორის არსებული განსხვავებები გამოვლენილი ენობრივი მახასიათებლების სიხშირეზე დაყრდნობით.

3.2. ქართული და ამერიკული პოლიტიკური დისკურსი. ემპირიული მასალის ანალიზისათვის მეორე თავში ილუსტრირებული ენობრივ ერთეულთა კლასიფიკაციათაგან შევარჩიეთ კენ ჰაილენდისა და პოლი ცის

(2004) მიერ შემოთავაზებული დისკურს მარკერთა ტექსტუალური და ინტერპერსონალური ჯგუფები.

ტექსტუალური დისკურსული მარკერები:

1. **ლოგიკური მარკერები:** 1.1. დამატებითი მარკერები; 1.2. მაპირისპირებელი მარკერები; 1.3. დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები; 1.4. მიზეზ-შედეგობრივი
2. **თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები**
3. **უკვე ნათქვამის შეხსენების აღმნიშვნელი მარკერები**
4. **აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერები**
5. **დაშიფრულის განმარტება**
6. **ილოკუციური მარკერები**

ინტერპერსონალური დისკურსული მარკერები:

1. **შემზღუდვებები- ეპისტემიკური ზმნებით გამოხატული**
2. **დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერები**
3. **დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები:** 3.1. მოდალური ზმნებით გამოხატული; 3.2. ზმნიზედებით გამოხატული; 3.3. ზედსართავებით გამოხატული; 3.4. კოგნიტური ზმნებით გამოხატული
4. **კომენტარები:** 4.1. რიტორიკული შეკითხვები; 4.2. პირდაპირი მიმართვები; 4.3. პერსონიფიკაციები

ემპირიული მასალის ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი თვისობრივი ანალიზისათვის ორივე ენის ემპირიული მასალიდან გამოვიყენეთ 132 მაგალითი, რომელთაგან 69 არის ქართული საარჩევნო დისკურსის, ხოლო 63 ამერიკული საარჩევნო დისკურსის ემპირიული მასალიდან. თვისობრივი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვისაუბროთ ორივე ენაში არსებული მარკერების ექსპრესიულ-ემოციურ დატვირთვასა და ამის საფუძველზე საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ზემოქმედებით ფუნქციაზე. კერძოდ, პოლიტიკოსები თავიანთ გამოსვლებში იყენებენ რიგ

ენობრივ საშუალებებს, რომლებიც საინტერესო ლექსიკური დატვირთვით გამოირჩევიან. კერძოდ, შესაძლებელია ერთი ენობრივი საშუალება (მარკერი) მიეკუთვნებოდეს მხოლოდ ერთ, ორ ან სამ მარკერთა ჯგუფს, რაც ხაზს უსვამს მის ექსპრესიულობასა და ზემოქმედებით დატვირთვას. მაგალითად, „look” შეიძლება გავაერთიანოთ როგორც ფოკუსირების, ასევე აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერების ჯგუფში. გარდა ამისა, დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმნიშვნელი მარკერები ხშირ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს, იქედან გამომდინარე, რომ ორივე წარმოადგენს მსჯელობის, ფაქტებისა თუ არგუმენტების განხილვის შემდეგ ერთგვარი შეჯამება-დასკვნას წინადადებაში, მსგავსი ფუნქციით ხშირად ვხვდებით დისკურსულ მარკერ - „so”-საც

გარდა ამისა, საინტერესო ნიშნით იკვეთება მარკერი „You know”, რომელიც ემპირიული მასალის შინაარსიდან გამომდინარე მარკერთა ორ სხვადასხვა ჯგუფში ერთიანდება, ხშირ შემთხვევაში მოსაუბრე იყენებს მას როგორც დამაჯერებლობის აღმნიშვნელ მარკერს, რადგან მისი ლექსიკური მნიშვნელობა გულისხმობს იმ ზოგადად ნაცნობი ფაქტის აღნიშვნას, რაც ცხადია როგორც მოსაუბრისთვის ასევე მსმენელისთვის და ასევე ხშირად ვხვდებით მას აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერის ფუნქციით, როცა მოსაუბრე იყენებს მას საუბრის დასაწყისში, რათა აქცენტი გააკეთოს დისკურსის საკითხზე, განსახილველ თემაზე.

დონალდ ტრამპი: „We have spent nearly \$2.5 trillion on completely rebuilding our military, which was very badly depleted when I took office, **as you know**.“² (ჩვენ თითქმის 2,5 ტრილიონი დოლარი დავხარჯეთ ჩვენი არმიის

² <https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-latrobe-pennsylvania-rally-speech-transcript-september-3>

სრულად აღსადგენად. როგორც მოგეხსენებათ, ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, როცა ამ თანამდებობაზე მოვედი).

კოგნიტური ზმნებით გამოხატული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები საინტერესო კუთხით იკვეთება ემპირიულ მასალაში, კერძოდ, ზოგიერთი კოგნიტური ზმნა გამოირჩევა ძლიერი ექსპრესიული დატვირთვით, მაშინ როცა გვხვდება ნაკლებად ექსპრესიული მარკერებიც.

ჯო ბაიდენი „ I **pledge** to be a president who seeks not to divide but to unify³.” (მე პირობას ვდებ, რომ ვიქნები პრეზიდენტი, რომელიც ცდილობს არა დაყოფას, არამედ გაერთიანებას)

დონალდ ტრამპი: „ I **promise** you that we will treasure your mom in our memories forever.”⁴ (გპირდებით, რომ დედათქვენის სახელს სამუდამოდ შემოვინახავთ ჩვენს მეხსიერებაში)

აღსანიშნავია, რომ ექსპრესიულობა განისაზღვრება მარკერების ლექსიკური მნიშვნელობებით, კერძოდ, *to pledge* - ოფიციალურად დაპირდე ან რაიმეს მიცემა ან რაიმეს გაკეთება; *To promise* - შეპირდე ვინმეს, რომ აუცილებლად გააკეთებ რაღაცას ან რომ რაღაც აუცილებლად მოხდება. როგორც ვხედავთ, მოცემული ლექსიკური მნიშვნელობები განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, ეს აისახება მარკერთა ექსპრესიულ ფუნქციაზე.

ურთიერთსაპირისპირო ფაქტების გადმოსაცემად წინადადებები ძირითადად შეპირისპირებული მარკერებით არის დაკავშირებული, თუმცა ემპირიულ მასალაში ხშირად ვხვდებით მარკერების გარეშე, შინაარსობრივად გადმოცემულ საპირისპირო იდეებს. მაგალითად.

³ <https://www.aljazeera.com/news/2020/11/8/joe-biden-acceptance-speech-full-transcript>

⁴ <https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-latrobe-pennsylvania-rally-speech-transcript-september-3>

ჯო ბაიდენი: „ This campaign isn't just about winning votes. It's about winning the heart and, yes, the soul of America -- winning it for the generous among us, not the selfish.” ⁵ (ეს კამპანია არ არის მხოლოდ ხმების მოგება. ეს არის ამერიკის გულის და, დიახ, სულის მოგება -- ჩვენ შორის დიდსულოვნებისთვის და არა ეგოისტებისათვის)

Joe Biden: „ But while I'll be a Democratic candidate, I will be an American president.” ⁶ (მაგრამ სანამ მე ვიქნები დემოკრატი კანდიდატი, ვიქნები ამერიკის პრეზიდენტი)

ქართულ ემპირიულ მასალაში ზედსართავი სახელებით გამოხატული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები საინტერესო ნიშნით იკვეთებიან. ხშირად მათ ვხვდებით ზმნიზედებთან ერთად, რომლებიც მოსაუბრის დამოკიდებულებას აძლიერებენ და ექსპრესიულ ხდიან. მაგალითად:

სალომე ზურაბიშვილი: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული რომ თავისი განვლილი გზით საქართველო ამას იმსახურებს.“ ⁷

სალომე ზურაბიშვილი: „სამარცხვინოა, როცა შენივე მოქალაქეები აქტიურობენ იმისათვის, რომ ქვეყნის სახე შელახონ ან თუნდაც მოითხოვონ ქვეყნის სხვადასხვა ფორმით დასჯა.“⁸

⁵ <https://www.aljazeera.com/news/2020/11/8/joe-biden-acceptance-speech-full-transcript>

⁶ <https://www.aljazeera.com/news/2020/11/8/joe-biden-acceptance-speech-full-transcript>

⁷ <https://1tv.ge/news/kakha-kaladze-saparlamento-archevnebshi-gartuli-ocnebis-gamarjveba-mnishvnelovania-rata-aravis-mieces-shesadzlebloba-chveni-qveyana-skhvata-interesebistvis-iyos-gamoyenebuli/>

⁸ <https://1tv.ge/news/kakha-kaladze-saparlamento-archevnebshi-gartuli-ocnebis-gamarjveba-mnishvnelovania-rata-aravis-mieces-shesadzlebloba-chveni-qveyana-skhvata-interesebistvis-iyos-gamoyenebuli/>

იქედან გამომდინარე, რომ ილოკუციური მარკერები, ცალსახად ასახელებენ მოსაუბრის მიზანს მიმდინარე დისკურსში, აღნიშნული მარკერები განსხვავდებიან ექსპრესიული ფუნქციით. ირაკლი ღარიბაშვილის ინტერვიუდან ამოღებულ მაგალითებში, გვაქვს შემდეგი მარკერები „დაგარწმუნოთ“ და „ჰიპოთეტურად ვთქვათ“ , რომლებიც ექსპრესიული ფუნქციით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მე მინდა გითხრათ, დაგარწმუნოთ რომ , ჩვენი მოსახლეობა დავარწმუნო, რომ აბსოლუტურად ყველა სცენარისთვის ვართ მზად.....“⁹

ირაკლი ღარიბაშვილი: „რა მოხდება, სცენარი რომ წარმოვიდგინოთ, ჰიპოთეტურად ვთქვათ, რომ ნაცმოძრაობა გადის, გადის თავისი დანაყოფებით.....“¹⁰

Joe Biden: „ That’s what **I want** the administration to look like and act like.“¹¹(სწორედ ასე **მინდა** ადმინისტრაცია გამოიყურებოდეს და იქცეოდეს).

ცხრილი 5. ტექსტუალური და ინტერპერსონალური მარკერების სტატისტიკური მონაცემები

		ქართული	ამერიკული
ტექსტუალური დისკურს მარკერები:	1. ლოგიკური მარკერები- დამატებითი მარკერები	7%	8%
	2. ლოგიკური მარკერები - მაპირისპირებელი მარკერები	4%	7%

⁹ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

¹⁰ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>


¹¹ <https://www.aljazeera.com/news/2020/11/8/joe-biden-acceptance-speech-full-transcript>

	3. ლოგიკური მარკერები - დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები	5%	7%
	4. ლოგიკური მარკერები - მიზეზ-შედეგობრივი	8%	6%
	5. თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები	5%	2%
	6. უკვე ნათქვამის შეხსენების აღმნიშვნელი მარკერები	9%	4%
	7. აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერები	2%	4%
	8. დაშიფრულის განმარტება	2%	1%
	9. ილოკუციური მარკერები	3%	1%
ინტერპერსონალური დისკურს მარკერები:	10. Hedges/შემზღუდვები- ეპისტემიკური ზმნებით გამოხატული	1%	3%
	11. დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერები	14%	4%
	12. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები - მოდალური ზმნებით გამოხატული	0%	6%
	13. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები - ზმნიზედებით გამოხატული	10%	13%
	14. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები - ზედსართავებით გამოხატული	7%	7%
	15. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები - კოგნიტური ზმნებით გამოხატული	17%	15%

	16. კომენტარები-რიტორიკული შეკითხვები	3%	5%
	17. კომენტარები-პირდაპირი მიმართვები	2%	3%
	18. კომენტარები-პერსონიფიკაციები	1%	4%

მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ თითოეულ მარკერთა ჯგუფი ცალკ-ცალკე.


ცხრილი 6. ლოგიკური მარკერები



ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლოგიკურ მარკერთა საერთო რაოდენობა ქართულენოვან ემპირიულ მასალასთან შედარებით ჭარბობს ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში(90). გარდა ამისა, დამატებითი, მაპირისპირებელი და დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები ჭარბობს ინგლისურენოვან მასალაში, მაშინ როცა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის


აღმნიშვნელი მარკერები ქართულ ემპირიულ მასალაში სულ მცირე განსხვავებით (1 ერთეულით აღმატება) ინგლისურენოვან მასალაში არსებულ რაოდენობას.

ცხრილი 7. ტექსტუალური მარკერები



როგორც ცხრილიდან ირკვევა, აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერები ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში ჭარბობს ქართულენოვან ემპირიულ მასალაში არსებულ რაოდენობას, ხოლო უკვე ნათქვამის აღმნიშვნელი მარკერები, code glosses, ილოკუციური და თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერების რაოდენობა ქართულენოვან ემპირიულ მასალაში აღმატება ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში არსებულ მარკერთა რაოდენობას.

ცხრილი 8. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები



ლოგიკური მარკერების ჯგუფის მსგავსად, დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერების ჯგუფში არსებული ენობრივი ერთეულების რაოდენობა ინგლისურენოვან მასალაში აღემატება ქართულს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზმნიზედებით, ზედსართავი სახელებითა და კოგნიტური ზმნებით გამოხატული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერების რაოდენობა ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში აღემატება ქართულს. რაც შეეხება მოდალური ზმნებით გამოხატულ დამოკიდებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ინგლისურენოვანი ემპირიული მასალიდან ვხვდებით 21 შემთხვევას, მაშინ როცა ქართულში მოდალური ზმნებით გამოხატული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები არ მოიპოვება.


ცხრილი 9. კომენტარები



კომენტარების ჯგუფებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა, რომ მოცემული ემპირიული მასალის საფუძველზე მოპოვებული ენობრივი ერთეულების რაოდენობათა გადანაწილებით ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა გამოირჩევა მეტი ექსპრესიულობით ვიდრე ქართულენოვანი ემპირიული მასალა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პერსონიფიკაციების რაოდენობათა შორის მხოლოდ ორი ერთეული არის განსხვავება, რაც გვარწმუნებს, რომ ორივე ენის ემპირიულ მასალაში მათ მეტ-ნაკლებად თანაბარი ფუნქციონირებით ვხვდებით, განსხვავებით რიტორიკული შეკითხვებისა და პირდაპირი მიმართვებისა.

დავუბრუნდეთ პერსონიფიკაციების მთავარ ფუნქციურ მახასიათებელს, რომელიც გამოიკვეთა ემპირიული მასალის ანალიზისას. მოსაუბრე პერსონიფიკაციებს მიმართავს დადებითი მნიშვნელობით, რათა აღნიშნოს სუბიექტის მიერ გატარებული ყველა ის წარმატებული ღონისძიება, რაც საზოგადოებას დაარწმუნებს მიმდინარე დისკურსის ჭეშმარიტებაში და უფრო სარწმუნოსა და დამაჯერებელს გახდის მიმდინარე დისკურსს მსმენელისთვის.

ცხრილი 10. ინტერპერსონალური მარკერები



ზედსართავი სახელებითა და ზმნიზედებით გამოხატული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში ჭარბობს ქართულში არსებულ მარკერთა რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში ვხვდებით შედარებით ნაკლებად ექსპრესიული და ძლიერი ექსპრესიული ფუნქციის მატარებელ მარკერებს.

მოცემული განსხვავებები შესაძლოა ღირებული აღმოჩნდეს პოლიტიკური კომუნიკატორების, თარჯიმნებისა და ანალიტიკოსებისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემს მოარგონ თავიანთი გამოსვლები აუდიტორიის ინტერესებს, საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, რათა ეფექტური კომუნიკაციით გარკვეული გავლენა მოახდინონ მათზე.

3.3. ემოციური მარკერების შედარებითი ანალიზის შედეგები

-თვისობრივი ანალიზისთვის ორივე ენის ემპირიული მასალიდან გამოვიყენეთ 132 მაგალითი, რომელთაგან 69 ქართული საარჩევნო

დისკურსიდან არის წარმოდგენილი, ხოლო 63 ამერიკული საარჩევნო დისკურსის ემპირიული მასალიდან.

1. ეპისტემური ზმნებით გამოხატული შემზღუდველები და დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერები

-ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში შემზღუდველების (ენობრივი ერთეულები, რომლებიც გამოხატავენ არადამაჯერებლობას ან თავაზიანობას, მაგალითად, **"Maybe/შეიძლება", "Probably/აღლბათ"**) გამოირჩევა მაღალი სიხშირით ქართულ მასალასთან შედარებით.

- ქართული დისკურსი შეიცავს უფრო მეტ დამაჯერებლობის აღმნიშვნელ მარკერებს, რომლებიც გადმოსცემენ დარწმუნებას. მაგალითად, **"დარწმუნებული ვარ"** ან **"ცხადია"**. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ თავდაჯერებულობას, მაშინ როცა ინგლისურენოვანი ხშირად ხაზს უსვამენ სიფრთხილესა და თავაზიანობას.

2. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები

-ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში არსებული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები გამოირჩევიან მრავალფეროვნებითა და მაღალი სიხშირით, განსაკუთრებით მრავლადაა ზმნებით, ზედსართავებითა და კოგნიტური ზმნებით გამოხატული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები.

- ეს მარკერები ინგლისურში ხშირად გამოხატავენ ძლიერ ემოციურ დატვირთვას და გამოირჩევიან ექსპრესიულობით. მაგალითად, ფრაზები, როგორიცაა **"I can't tell you how important it is"** და უფრო მარტივი **"it's important"** გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ამერიკელ პოლიტიკოსებს ენობრივი სტრუქტურების ემოციურად გამოყენება.

3. მოდალური ზმნები:

- მოდალური ზმნების გამოყენება დამოკიდებულების ან ვალდებულებების გამოსახატავად (მაგ., "must", "should", "may") გავრცელებულია ინგლისურში, მაგრამ ნაკლებია ქართულში. ეს განსხვავება, სავარაუდოდ, გამომდინარეობს ინგლისური ენის ენობრივი სტრუქტურიდან, სადაც მოდალური ზმნები განუყოფელია შესაძლებლობასთან, აუცილებლობასთან და ვალდებულებასთან დაკავშირებული ნიუანსური მნიშვნელობების გამოხატვისათვის.

-მაგალითები, როგორიცაა დონალდ ტრამპის "We must remember that.../ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ.../" გვიჩვენებს, თუ როგორ გამოიყენება ეს ზმნები რჩევის, აუცილებლობის ან ვალდებულების გამოსახატავად სხვადასხვა ექსპრესიულ ემოციური ხარისხით.

4. ზედსართავი სახელებისა და ზმნიზედების ემოციური გამომხატველობა:

-ინგლისურენოვანი დისკურსი შეიცავს ზმნიზედებსა და ზედსართავ სახელებს, რომლებიც ხშირად უფრო ემოციურ-ექსპრესიულობით გამოირჩევიან, ვიდრე მათი ქართული ანალოგი. მაგალითად, ინგლისური ზმნები, როგორიცაა "frequently/ხშირად", "'profoundly/ღრმად", "'tragically/ტრაგიკულად" და "aggressively/აგრესიულად" გამოირჩევიან მაღალი ემოციური დატვირთვით.

- ამის საპირისპიროდ, ქართული ეკვივალენტები, როგორიცაა "ძალიან" ან "სამწუხაროდ", ნაკლებად ინტენსიურია. ინგლისურ ემპირიულ მასალაში ზმნიზედების გამეორება, როგორიცაა "'very, very special/ ძალიან, ძალიან განსაკუთრებული", კიდევ უფრო აძლიერებს ემოციურ დატვირთვას და ძლიერ ემოციურ გავლენას ახდენს აუდიტორიაზე.

5. ლექსიკური მრავალფეროვნება:

-კოგნიტური ზმნების ლექსიკური მრავალფეროვნება (ზმნები, რომლებიც გამოხატავენ დარწმუნების ან რწმენის ხარისხს, როგორიცაა "I think/ფიქრი", "I am sure/"მჯერა", "I know/"ვიცი") უფრო ხშირია ინგლისურში, ვიდრე

ქართულში. ქართულში ხშირია -*მსურს, მე მინდა, ვიმედოვნებ, მიმაჩნია, მე ვფიქრობ, ვიცი, მჯერა, ჩემი ღრმა რწმენით, არ ვეთანხმები*. ინგლისურში კი -*I think, I know, I want, I believe, I realize, I refuse, I pledge, I hope, I promise, I understand, I feel*;

- ეპისტემური ზმნების რაოდენობა ინგლისურში ჭარბად შეინიშნება, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ინგლისურ ენაში მოდალური და დამხმარე ზმნების ფართო სპექტრით, რაც საშუალებას აძლევს მომხსენებლებს გამოხატონ ემოციური დამოკიდებულება მკაფიოდ.

- ზედსართავი სახელებითა და ზმნიზედებით გამოხატული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში ჭარბობს ქართულში არსებულ მარკერთა რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში ვხვდებით შედარებით ნაკლებად ექსპრესიული და ძლიერი ექსპრესიული ფუნქციის მატარებელ მარკერებს.

- მოცემული ემპირიული მასალის საფუძველზე კომენტარის აღმნიშვნელი მარკერები მოპოვებული ენობრივი ერთეულების რაოდენობათა გადანაწილებით ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში გამოირჩევა მეტი ექსპრესიულობით ვიდრე ქართულ მასალაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პერსონიფიკაციების რაოდენობათა შორის მხოლოდ ორი ერთეული არის განსხვავება, რაც გვარწმუნებს, რომ ორივე ენის ემპირიულ მასალაში მათ მეტ-ნაკლებად თანაბარი ფუნქციით ვხვდებით, განსხვავებით რიტორიკული შეკითხვებისა და პირდაპირი მიმართვებისა.

- პერსონიფიკაციების მთავარი ფუნქციური მახასიათებელი, ორივე ენის ემპირიული მასალის ანალიზისას გამოიკვეთა. კერძოდ მოსაუბრე პერსონიფიკაციებს მიმართავს დადებითი მნიშვნელობით, რათა აღნიშნოს სუბიექტის მიერ გატარებული ყველა ის წარმატებული ღონისძიება, რაც საზოგადოებას დაარწმუნებს მიმდინარე დისკურსის ჭეშმარიტებაში და

უფრო სარწმუნოსა და დამაჯერებელს გახდის მიმდინარე დისკურსს მსმენელისთვის.

6. ენა და კულტურა

- კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენის სტრუქტურები და კულტურული კომუნიკაციის სტილები მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული. ინგლისურენოვანი დისკურსი, მოდალური ზმნებისა და გამოხატველი მარკერების მრავალფეროვნებით, როგორც ჩანს, უფრო ნიუანსური და ემოციურად რეზონანსული კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. ამის საპირისპიროდ, ქართულენოვან დისკურსში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს სიცხადეს, სიზუსტეს და პირდაპირობას, ვიდრე ემოციურ ექსპრესიულობას.

7. პოლიტიკური რიტორიკა:

- პოლიტიკურ კომუნიკაციაში, ამ განსხვავებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს აუდიტორიის მიერ შეტყობინებების მიღებაზე. ინგლისურენოვან პოლიტიკოსებს შეუძლიათ გამოიყენონ ემოციური და დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები ამომრჩევლების ემოციების გასაკონტროლებლად. მეორეს მხრივ, ქართველმა პოლიტიკოსებმა შესაძლოა ყურადღება გაამახვილონ დარწმუნებულობის და ავტორიტეტის გამოხატვას.

ეს შედარებით/შეპირისპირებითი ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორ ასახავს და აყალიბებს ენობრივი არჩევანი სხვადასხვა ენობრივი საზოგადოების კომუნიკაციურ ზრახვებსა და კულტურულ ნორმებს.

8. ზედსართავ სახელთა კონსტრუქციები

- ზედსართავ სახელთა კონსტრუქციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მომხსენებლის დამოკიდებულების გადმოსაცემად კონკრეტული დისკურსის მიმართ. მაგალითად, "დარწმუნებული ვარ" და "სამარცხვინოა", "I am so grateful" ან "I'm very, very proud" აჩვენებს, თუ

როგორ გამოიყენება ზედსართავი სახელები მოსაუბრის ემოციური დამოკიდებულების გადმოსაცემად და მსმენელის დასარწმუნებლად.

9. კოგნიტური ზმნები:

-ზმნები, როგორიცაა "I think" ან "I believe", ემსახურება მომხსენებლის პოზიციის გადმოცემას, რაც ხშირად აძლიერებს მათი განცხადებების სანდოობას. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილის მიერ კოგნიტური ზმნების გამოყენება („მიმაჩნდა და მიმაჩნია“, „მე ვფიქრობდი და ასე ვფიქრობ ახლა“) არის ქართული ემოციური მარკერების კარგი მაგალითი.

10. ენობრივი შედარება:

-ინგლისურენოვან მასალაში ჭარბობს მოდალური ზმნებით, შემზღუდველებით და ექსპრესიული ზედსართავებითა და ზმნიზედებით გამოხატული ემოციური დამოკიდებულება. ხშირად მოსაუბრეები მიმართავენ გამეორებას, რათა ხაზი გაუსვან არსებული საკითხის მიმართ დამოკიდებულებას (მაგ., "ძალიან, ძალიან"). -ქართული დისკურსი უფრო მეტად ეყრდნობა დამაჯერებლობის აღმნიშვნელ მარკერებსა და შეხსენებებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსმენელზე.

ემპირიული მასალის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ენა არის პოლიტიკური, კერძოდ საარჩევნო დისკურსის მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბონ თავიანთი გზავნილები თავიანთ მიზნებთან და იდეოლოგიასთან შესაბამისობაში. სხვადასხვა ენობრივი რესურსების მანიპულირებით, პოლიტიკოსებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ აუდიტორიაზე, გამოიწვიონ კონკრეტული ემოციური რეაქციები და საზოგადოების შეხედულების ფორმირებაში მიიღონ მონაწილეობა. როგორც ინგლისური, ასევე ქართული ემპირიული მასალების ანალიზი ავლენს ემოციური მარკერების გამოყენების ემოციურ თავისებურებას პოლიტიკურ გამოსვლებში.

ზოგადი დასკვნები

- -საარჩევნო კამპანიები საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში კარგად იკვეთება კომუნიკაციის მთავარი მიზანი- მიიღონ ხმა ამომრჩევლისგან;
- -ნებისმიერი პოლიტიკური გამოსვლა, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გაკეთებული განცხადება, ემსახურება საზოგადოების დარწმუნებას მიმდინარე დისკურსის სისწორეში და ამის შედეგად არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოპოვებას;
- -წინასაარჩევნო კამპანია გამოირჩევა მანიპულაციური ფუნქციით, რაც ხასიათდება ენობრივი საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით წინასაარჩევნო გამოსვლებში პოტენციურ ამომრჩეველზე ფარული გავლენის მოხდენის მიზნით;
- -ზემოქმედების მექანიზმს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ძალაუფლების ჩვენება, სწორად ჩამოყალიბებული არგუმენტი, უსაფრთხო და უპრობლემო მომავალი ცხოვრების მენტალური მოდელების მიწოდებითა და/ან საკუთარი პერსონის პოზიტიურად გაყიდვა-წარმოჩენით;
- -წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ფუნქციური კვლევა გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ არა მხოლოდ თეორიული ბაზისი, არამედ თეორიულ ნაწილთან ერთად ვიკვლიოთ წინასაარჩევნო დისკურსთან დაკავშირებული პროგნოზები და ვარაუდები მოსალოდნელი შედეგების შესახებ, და მიმდინარე დისკურსის კვლევისას ყურადღება გავამახვილოთ როგორც აქტუალურ თემებზე, ასევე მის ფუნქციებზეც;

- -დისკურსული და პრაგმატული მარკერები კომუნიკაციისა და ურთიერთქმედებისათვის მნიშვნელოვანი ლინგვისტური ელემენტებია, რომელთა მთავარი მიზანია მიმდინარე დისკურსში სემანტიკური და პრაგმატული თანამიმდევრულობის შენარჩუნება, საუბრისას ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობის გამოხატვა და სამეტყველო მოქმედებების შესრულება;
- პრაგმატიკული მარკერები სოციალური და პირადი დამოკიდებულების ჩვენებით აღნიშნავენ ადრესატის დამოკიდებულებას მიმდინარე დისკურსის, ადრესანტისა და კომუნიკაციის შინაარსობრივი მხარის მიმართ. (მაგ: რა თქმა უნდა... Obviously...);
- საარჩევნო დისკურსის კვლევამ კორპუსლინგვისტური მეთოდით გამოყენებით საშუალებას მოგვცა რაოდენობრივად და თვისობრივად გამოგვეკვლია დისკურსული და პრაგმატიკული მარკერები;
- -პოლიტიკური ენის კორპუსლინგვისტური კვლევა წარმოადგენს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების კვლევას, რათა გამოიკვლიოს ენობრივი სტრუქტურები, რომლებსაც პოლიტიკოსები იყენებენ სპეციფიკური ფუნქციებისა და კონკრეტული მიზნების შესასრულებლად;
- - კორპუს-ლინგვისტური მიდგომით დისკურსის კვლევისას რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება კვლევის შედეგს უფრო სარწმუნოს ხდის;

კვლევის ძირითადი მიგნებებია:

ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა:

- დამოკიდებულების აღმნიშვნელი მოდალური ზმნებით გამოხატული მარკერებია: ეს ზმნები (მაგ., "must", "may") გადმოსცემენ აუცილებლობას, ვალდებულებას ან რჩევას, ასახავს მომხსენებლის პოზიციას და მოუწოდებს აუდიტორიის მოქმედებისაკენ.

- - დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები (ზმნიზედები): ზმნიზედების გამოყენება ინგლისურში (მაგ., "profoundly," "massively") ხშირად აძლიერებს ექსპრესიულობასა და ემოციურ გავლენას მსმენელზე;
- -დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები (ზედსართავი სახელების კონსტრუქციები): ზედსართავი სახელები (მაგ., "important," "grateful") გამოიყენება ძლიერი გრძნობების გადმოსაცემად, რომლებიც ხშირად გამეორებით აძლიერებს მის ემოციურ დატვირთვას;

ქართული ემპირიული მასალა:

- შეხსენების აღმნიშვნელი მარკერები: შეხსენების აღმნიშვნელი მარკერების ხშირი გამოყენება მიუთითებს წარსული მოვლენების ან მოსაზრებების გახსენებაზე, მომხსენებლის არგუმენტების ნაცნობ კონტექსტში გამოყენებაზე;
- - დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერები: ეს მარკერები (მაგ., "რა თქმა უნდა") ემსახურებიან მოსაუბრის დარწმუნებასა და თავდაჯერებულობას. ასევე მიზნად ისახავენ აუდიტორიის დარწმუნებას მომხსენებლის პოზიციის სისწორეში;

შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორები:

- --ორივე ენის ემპირიულ მასალაში შეგვხვდა ისეთი ემოციური მარკერების ჯგუფები, რომლებიც ორივე ენის ემპირიულ მასალაში თანაბარი ემოციური და ზემოქმედებითი ფუნქციით გამოირჩევიან, მათი სიხშირის მაჩვენებლიდან გამომდინარე. ესენია: 1) ლოგიკური მარკერები - მიზეზ-შედეგობრივი 2) კოგნიტური ზმნებით გამოხატული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები;
- - ანალიზი ცხადყოფს, რომ დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები გავრცელებულია ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში, ასევე მაღალი

სიხშირით გამოიყენება მოდალური ზმნები, ზმნიზედები და ზედსართაული კონსტრუქციები. ეს მიგვითითებს ინგლისურ პოლიტიკურ დისკურსში პირადი დამოკიდებულებებისა და ემოციების გამოხატვის არსებობაზე.

- - ამის საპირისპიროდ, ქართული ემპირიული მასალა გვიჩვენებს, რომ შეხსენებისა და დარწმუნების აღმნიშვნელი მარკერები უფრო ხშირია, რაც მიუთითებს ცნობილი ფაქტების ხელახლა დადასტურებაზე და მოსაუბრის ნდობის მოპოვების მცდელობაზე.
- შეხსენების აღმნიშვნელი მარკერების გამოყენება ემსახურება არგუმენტების მოყვანას წარსული მოვლენებიდან ან საყოველთაოდ გავრცელებული ჭეშმარიტებიდან, ხოლო დარწმუნების აღმნიშვნელი მარკერები აძლიერებენ მომხსენებლის შეხედულების ისე გადმოცემას, რომ ეჭვი არ გაუჩინონ აუდიტორიას;
- - შემარბილებელი სიტყვები და კოგნიტური ზმნები ორივე ენაში გვხვდება, თუმცა მრავალფეროვნებისა და სიხშირის განსხვავებული ხარისხით. ინგლისური მასალა ასახავს შემარბილებელი გამონათქვამების უფრო ფართო სპექტრს, რაც ასახავს დისკურსში ეჭვის ან თავაზიანობის უფრო ნიუანსურ მიდგომას;
- - ინგლისურ ემპირიულ მასალაში არსებული ემოციური მარკერები ხასიათდება უფრო დიდი ექსპრესიულობით, ხშირად ვხვდებით გამეორების მაგალითებს დისკურსის ემოციური მუხტის გასაძლიერებლად;
- გაზრდილი ექსპრესიულობა გვთავაზობს სტრატეგიას, რომ ემოციურად უფრო გამომხატველი და დამაჯერებელი გახადოს მოსაუბრემ მიმდინარე დისკურსი;
- - ქართული ემპირიული მასალა, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად მრავალფეროვანია თავისი ემოციური მარკერებით, ძირითადად

ყვრდნობა დარწმუნებისა და შესენების მარკერებს, ავტორიტეტისა და უწყვეტობის განცდის შესაქმნელად, რაც აუდიტორიის ნდობის მოპოვებას ან გამყარებას ემსახურება;

- მიღებული შედეგები ხაზს უსვამს, ინგლისურ და ქართულ კონტექსტში კულტურულ და ენობრივ განსხვავებულობაზე. ინგლისურენოვანი დისკურსი უფრო პირდაპირ ემოციურ ჩართულობას უწყობს ხელს, სხვადასხვა ენობრივი საშუალებების გამოყენებით რათა გამოიწვიოს ძლიერი რეაქციები. ამის საპირისპიროდ, ქართული პოლიტიკური დისკურსი უფრო მეტად ყვრდნობა ხელახლა დამტკიცებას და თავდაჯერებულობას, პოლიტიკოსი იყენებს ენას სტაბილური და ავტორიტეტული ფიგურის წარმოსაჩენად.
- ემოციური მარკერების გამოყენება პოლიტიკურ დისკურსში გამოირჩევა გარკვეული ნიუანსებითა და სტრატეგიით, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ენებსა და კულტურაში. ეს მარკერები არა მხოლოდ გადმოსცემენ მომხსენებლის დამოკიდებულებას, არამედ ემსახურებიან ზეგავლენის, დარწმუნებისა და აუდიტორიასთან ემოციური კავშირის დამყარებას.
- ინგლისური და ქართული ემპირიული მასალების შედარებითი ანალიზი ხაზს უსვამს ამ მარკერების მნიშვნელობას საარჩევნო დისკურსის ჩამოყალიბებაში და კომუნიკაციის როლს კონტექსტში.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა შემდეგ
პუბლიკაციებში:**

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „Scripta Manent“ სტატია სახელწოდებით „პრაგმატიკული მარკერები ქართულ და ინგლისურ პოლიტიკურ დისკურსში“, ISSN 1987-7390;
- ასტანის I საერთაშორისო სიმპოზიუმი სამართალსა და სოციალურ მეცნიერებებზე; სტატია სახელწოდებით „Emotional Markers in the Discourse of Election“, ISBN: 978-625-8045-19-2;
- საერთაშორისო კონფერენცია მეცნიერებასა და განათლებაზე , სტატია სახელწოდებით „Emotional Markers in the Georgian and American Discourses of Election“, ISBN: 978-625-6959-26-2;
- ვალტერ დე გრუიტერის გამომცემლობა, წიგნი „Translation and paratranslation: ideological and cultural manipulations“ , სტატია სახელწოდებით „ Brief paratextual and contrastive analysis of the electoral discourse“ , ISBN 978-3-11-131215-6;
- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალი „ფილოლოგიური კვლევები“, სტატია სახელწოდებით „ Literature review on discourse and pragmatic markers“, No IX (2024).